ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო გაზეთი

№ 850 ოთხშაბათი, 20 მარტი 1913 წ. № 850

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წლიურ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა


**სახალხო გაზეთი** ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

**სურათებიანი დამატება** (კვირაობით)

**პრემიად** 1913-წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.

2) **ქართველი ერის ისტორია**, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წელიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად, დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

**ათი შაური** უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გად იხადონ **ნაწილობით** მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:**

1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).

2 ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,

3 ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П., Ящ. 190.



ტფილ. სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა

**საზოგადო კლუბის გამგეობა**

უმორჩილესად სთხოვს კლუბის იმ წევრთ, რომელთაც ჯერ არ შემოუტანიათ საწევრო გადასახადი, **დააჩქარონ შემოტანა**, რადგანაც უკანასკნელი ვადა სრულდება 1 აპრილს.

წევრად ჩარიცხვა შეიძლება **გამგეობის კანტორაში, ველიამინოვის ქუჩაზე**, № 17, საღამოს 8-დან 9 საათამდე, ყოველ დღე, და 10-დან 12-მდე კვირაობით. 163



**ტფილისის კერძო სამკურნალო**

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან **ისპენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლო.**

**ტელეფონი № 590.**

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებული სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი:
**მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
**მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.
**ფილიპოვი ი. ფ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
**ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ვ. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11—12 ს.

ქირურგიული სნეულებანი:
**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.)
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

**ექიმი-ქალი ვერბიცკა-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
**თაყაიშვილი ა. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ხუნდაძე ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.

**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—$1^1/_2$ ს.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.
**ფილიპოვი ი. ფ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^1/_2$—11.
**ჯავახიშვილი ნ. ნ.** (ოთხშაბ., პარასკ. და კვირას) 11—12 ს.
**ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.

**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—$1^1/_2$
**ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $1^1/_2$—2.

**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$.

**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) $11^1/_2$—$12^1/_2$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რეაქციისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ „914“ და **ფაშლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1035



**გამოსულია და იყიდება**

**ი. გედევანიშვილის** პიესა

**„გ ა მ ც ე მ ი“**

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.



## ტფილისის სავაჭრო ბანკის დამაარსებელთა

## = საორგანიზაციო კომიტეტი =

ამით აუწყებს ბ-ნთ **აქციონერებს**, რომ

უკანასკნელ ვადად, დროებით კვიტანციების შეცვლისა დროებით მოწმობებით

**დანიშნულია მიმდინარე წლის 23 მარტი, შაბათი.** 1116



ანონსი

**ქ. ქუთაისი**

კვირას, 31 მარტს,

**ი. გრიშაშვილის** თაოსნობით გაიმართება საინტერესო მუსიკალურ - ლიტერატურული

**საღამო-მეჯლისი**

დაწვრილებით შემდეგ.



ამით საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ **ცნობილი**

**პასხალიდის აბრეშუმის თესლი**

ჩვეულებისამებრ **იყიდება მ. გ. რუსიძის კანტორაში,** ბათუმში, მარინსკი პროსპექტზე, საკუთარ სახლში № 10.

**სამუდამო და შეურყეველი გადაწყვეტილებაა:** თესლს რაც უფრო ადრე დაიბარებენ მყიდველები, იმდენად უფრო იაფად შეიძენენ, რაც გვიან, იმდენად ფასი მატულობს. **პასხალიდის თესლის მუდმივ მყიდველებს** კანტორა ამით მოაგონებს, რომ თესლი დროიანად დაიკვეთონ, ვინაიდან, როგორც გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, ბალკანეთის ომის გამო, წელს თესლების გამოსატანი გზა დაკეტილია (მხოლოდ მცირეოდენმა გამოასწრო გზის დაკეტვას), რის გამოც მოსალოდნელია, ბევრი მეაბრეშუმე დარჩეს უთესლოთ.

ტფილისისა, ქუთაისისა და ბათუმის გუბერნიების ერთად-ერთი წარმომადგენელი პასხალიდის აბრეშუმის თესლი **ა მ. გ. რუსიძე.** 1079



ხელის მოწერით გამოიცემა **ე. ზოლას**

**„ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში“**

**ი. გ. ავალიშვილის** ნათარგმნი.

**დაკვეთა შეიძლება: ტფილისში**—ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. წიგნის მაღაზიაში და სინოდალ. კანტ. დავით ნახუცრიშვილთან, **თელავში** თელავის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **ქუთაისში**—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტორა „იმერეთში“, **ხონში**—ხონის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **სამტრედიაში**—სამტრედ. ქ. შ. წ.-კ. განყ. წიგნ. მაღაზიაში და ნაცვალიძესთან, **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილის ასულთან, **სოხუმში**—ნ. ჯანაშიასთან, **კავკავში**—მასწავლ. ბურჯანაძესთან, **ოზურგეთში**—მ. თალაკვაძეს და სტ. კალატოზიშვილის წიგნის მაღაზიაში, **ზესტაფონში**—პლატონ კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში, **ჩოხატაურში**—სილიბისტრო თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, **ბათუმში**—წიგნის მაღაზია „განთიადში“, **სიღნაღში**—ნიკო ახმეტელაშვილთან.

„ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში“ „მოამბის“ ზომისა (400 გვ.) იქნება და წინასწარის დაკვეთით ეღირება 60 კ. მხოლოდ გასაყიდი ფასი იქნება 1 მან. 1107



დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა.** იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინითა, რადიის** პრეპარატებით და **პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: **სოლოლაკი**, ბებუთოვის ქ., № 23 (ჯანოვის ქ. კუთხე).

**ტელეფ. 7—93.** 97



**საცივო**

1114.



**საბურთალოზე**

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020



**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგანავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11—$11^1/_2$ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და კვირაობით 11—$11^1/_2$ საათ.

**გორობიევი.** შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ივ. გომართელი.**—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური. ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606“-ით.** 1053



**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., **გაშინჯვა და გადაღება** რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022



**ვასწავლი**

**ქართულ**

**სიმღერა - გალობას**

და ვადგენ **100 კაცისაგან** შემდგარ გუნდს. **თამარ მეფის 700 წ. სადღესასწაულოდ.** გუნდის შესახებ მოლაპარაკება, მიღება და ჩაწერვა **მიხეილ კავსაძესთან,** ოთხშაბ. შაბ. და კვირაობით 5- 7 საათამდე: ჩერქეზიშვილის ქუჩა № 29. 125



**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. **ელიზაბედ. ქ.**, № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 102



**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავად. მყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8— ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.



**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა



**ექიმი ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334


## ერთი ახალი კანონ-პროექტი

2.*)

რა ეშველება იმ უნუგეშო მდგომარეობას, რომელიც ჰსუფევს სადგილ-მამულო გადასახადის გაწერა-განაწილების საქმეში? ცხადია, რომ, რაკი საქმე მხოლოდ მაშინ მოწესრიგდება, როცა დანამდვილებით ცნობაში იქნება მოყვანილი მიწების რაოდენობა კავკასიაში და როცა მოხდება წესიერი შეფასება მიწებისა; ჯერ და თავდაპირველად ეს უნდა იქნას აღსრულებული. განათლებულ და წესიერად მოწყობილ სახელმწიფოში არა თუ ერთხელ, არამედ დრო-გამოშვებით ხდება ხოლმე მიწების საერთო და საყოველთაო აღწერა-კადასტრი. თუ ყველა მიწები არ იქმნა წესიერად აწერილი, გეგმებზე გადაღებული, გაზომილი, ისე შეუძლებელია დანამდვილებით მათი რაოდენობის გამორკვევა; მაშასადამე, შეუძლებელია მიწებზე გადასახადის გაწერაც და, საზოგადოდ, რაიმე აგრარულ ან ისეთ საფინანსო რეფორმის მოხდენა, რომელიც მიწას შეეხება. ჩვენში კი არასოდეს ასეთი აღწერა არ მომხდარა და არც ახლა აპირებენ იმის მოხდენას. შემდეგ, მიწების შეფასებისა და შემოსავლის გამოანგარიშებისათვის საჭიროა შესწავლა ნიადაგისა, შესწავლა ადგილობრივ სამეურნეო დარგებისა, სასოფლო მეურნეობის კულტურისა, შეგროვება სასტატისტიკო მასალა-ცნობებისა, საიჯარო გადასახადების შესახებ, სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა ფასების შესახებ და სხვა. ყველა ამის წესიერი მოწყობა, როგორც შიდა რუსეთის გამოცდილებამ დაამტკიცა, შეუძლიან ადგილობრივ თვითმმართველობას—ერობას. არც ამას დაწესებას გვპირდებიან ახლო მომავალში. მაშ, რითი უნდათ უშველონ საქმეს, თუ არც კადასტრას აძლევენ, არც ერობას გვაძლევენ?

ამის პასუხს ვკითხულობთ იმ უცნაურს პროექტში, რომელიც ეხლახან შეუმუშავებიათ ბიუროკრატიულს კანცელარიებში და მეოთხე სათათბიროსათვის წარუდგენიათ. პროექტს სახელად ეწოდება „ამიერ-კავკასიისა, თერგისა და ყუბანის ოლქებში მიწების დასაფასებელი მუშაობის კანონ-პროექტი საადგილ-მამულო სახელმწიფო და საერობო გადასახადის გაწერისათვის“. ამ პროექტის უბრალო ზერელე გადათვალიერებაც კი დაგვარწმუნებს, რომ მისი განხორციელება წახდენილ საქმეს ვერ გამოაკეთებს და შედეგად მოჰყვება მხოლოდ ხალხის შეწუხება ახალის ხარჯებითა.

როგორც შეეფერება ბიუროკრატიულს ლაბორატორიებში გამომცხვარ პროექტს, თავიდათავი საქმე, რომელსაც იგი გვპირდება, არის: ახალ მეტად რთულ ბიუროკრატიულ დაწესებულების შექმნა. უნდა დაარსდეს რამდენიმე სართულიანი დაწესებულება. კანონ-პროექტის I თავის 1-ლი მუხლი ამბობს: „მიწების რაოდენობის აღნუსხვისა და შეფასებისათვის არსდება მთავარი დამფასებელი კომისია და დამფასებელი გამგეობა (ტფილისში), საგუბერნიო ან საოლქო კომისიები (ყოველ გუბერნიასა და ოლქში), სამაზრო კომისიები (ყოველ მაზრაში) და, ბოლოს, განსაკუთრებული დამფასებელი განყოფილებანი სახაზინო პალატებთან. ყველა ამ კომისიებში, გარდა უკვე არსებულ თანამდებობის ზოგიერთ მოხელისა, შედის მრავალი ახალი მოხელე დამფასებლები, ნიადაგის გამომკვლეველი სპეციალისტები, აგრონომები, სტატისტიკოსები და სხვა. ამის გარდა უნდა მოემატოს გადასახადთა ინსპექტორების რიცხვს 13 ახალი ინსპექტორი.

უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი ვეებერთელა დაწესებულება და ამდენი მოხელე რთულ საქმის ასრულებასაც იკისრებენ და მკვიდრ ნიადაგზე დააყენებენ იმას, რაც დღეს ასე კოჭლობს ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ პროექტი ამის შესახებ არაფერს სანუგეშოს არ გვეუბნება. ავიღოთ ჯერ პირველი მთავარი საქმე—მიწის რაოდენობის აღნუსხვა. თვით პროექტში ვკითხულობთ, რომ „თუ გვინდა სისწორით გამოვიანგარიშოთ, რამდენია მიწა, რომელსაც საადგილ-მამულო გადასახადი უნდა გაეწეროს, საჭიროა კავკასიის ყველა მიწების საინსტრუმენტო გაზომვა მოხდეს, ყველა მიწები პლანზე იქნას გადაღებულიო“. მაგრამ აქვე დასძენს: „ეს ერთობ რთული საქმეა, ძვირადაც დაჯდება და მრავალ მიზეზის გამო უარყოფილ უნდა იქმნასო“. მაშ, როგორ უნდა მოხდეს ადგილ-მამულთა რაოდენობის და სივრცის აღნუსხვა? კანონ-პროექტი ასეთ წესებს ამყარებს: უმთავრესი საშუალება ამისათვის, ეგრედ წოდებული, დოკუმენტალური გამოკვლევა უნდა იყოსო. ახალმა დაწესებულებამ უნდა შეაგროვოს სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებებში, სანოტარიუსო კანტორებში, კერძო მემამულეთაგან და ყველგან, სადაც მოიძებნება, დოკუმენტები მიწების, ადგილ-მამულების სივრცისა და შემადგენლობის შესახებ, შეუდაროს ეს დოკუმენტები ერთმანეთს და გა-

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 849.

მოიანგარიშოს; თუ საჭირო ვახდება, საეჭვო ცნობების გამოსარკვევად ადგილობრივ მოახდინოს გამოძიება (საზღვრების შესახებ მოწმეების გამოკითხვა); მხოლოდ, უკიდურეს შემთხვევაში მიჰმართოს ამა თუ იმ მამულის ინსტრუმენტით გაზომვასა და გეგმაზე გადაღებასაო.

ამრიგად, წესიერი კადასტრის მაგივრად, ვღებულობთ წმინდა წყლის ბიუროკრატიულ, კანცელარიულ გამოკვლევას მრავალგვარ ქაღალდებისას, აქტებისას და სხვა ამგვარ, ხშირად სრულებით გამოუსადეგარ, მასალისას. რა თქმა უნდა, მუშაობა დიდია, მაგრამ, რაოდენ ნაყოფიერი იქნება ამგვარი „გამოკვლევა" და რამდენად გამოასწორებს იგი დღევანდელ ყოფას, ამაზე ორი აზრის შედგენა შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში, ფრთხილად ვთქვათ მხოლოდ შემდეგი: საეჭვოა, რომ ამ გზით ცოტად თუ ბევრად დაახლოვებული ცნობები მივიღოთ ადგილმამულების სივრცისა და შემადგენლობის შესახებ; სხვა სიტყვებით, საეჭვოა, რომ ამ გზით მიღებული ცნობები უფრო დაუახლოვდეს სინამდვილეს, ვინემ დღევანდელი ცნობები... მაშ, რისათვის შენდება ბაბილონის გოდოლი და რად უნდა დაიხარჯოს ფული?!..

მეორე მთავარი საქმე—სხვა და სხვა მიწის შემოსავლის გამოანგარიშება—მაინცა და მაინც არაა პროექტში უკეთესად დაყენებული. აქაც უმთავრესი როლი „დოკუმენტალურ გამოკვლევას" აქვს მინიჭეული. ახალმა დაწესებულებამ უნდა შეაგროვოს ცნობები ბანკებიდან (როგორაა დაფასებული მიწები), სხვა და სხვა დაწესებულებებში მოსძებნოს საჭირო მასალა და სტატისტიკური ცნობები მიწების ფასებისა და საიჯარო ფასების შესახებ და სხვა. ხოლო მეორე საშუალებას, რომელიც უფრო საჭიროა და ძიზანშესაფერისი ამ საქმისათვის, ესე იგი, ადგილობრივ გამოკვლევასა, ადგილობრივ სასოფლო - სამეურნეო პირობათა შესწავლას პროექტი შედარებით მცირე ადგილს უთმობს. ყოველ შემთხვევაში ეს მეორე საქმე—შემოსავლის გამოანგარიშება—მაინც უკეთ არის განზრახული, ვიდრე პირველი. მაგრამ უბედურება ისაა, რომ უმძიმესი საქმე ადგილობრივ გამოკვლევისა, ეგრედ წოდებულ საექსპედიციო გამოკვლევისა, ისევ და ისევ, უმთავრესად, გადასახადთა ინსპექტორებს ევალებათ, მხოლოდ რამდენისამე აგრონომისა და ნიადაგის მცოდნე სპეციალისტების მიმატებით. გადასახადთა ინსპექტორები დღესაც ასრულებენ ამ საქმეს და, თუ დღეს, ადვილად გასაგებ ბევრ მიზეზისა გამო, რიგიანად ვერ ახერხებენ შემოსავლის გამოანგარიშებას, სად არის გარანტია, რომ ახალ კანონპროექტის განხორციელების დროს შესძლებენ საქმის უკეთესად წაყვანას?!. როგორც წინა წერილშიაც ვთქვით, ამ საქმის რიგიანი დაყენება შიდა რუსეთში საერობო დაწესებულებებმა მოახერხეს. მათ მიერ შესწავლილ იქმნა სასოფლო მეურნეობის ადგილობრივი კულტურა, მიწის ნიადაგი, ვარკვეულ იქნა მამულების შემადგენლობა, შეგროვილ იქმნა აუარებელი მასალა ფასებისა, საიჯარო გადასახადების შესახებ, ერთი სიტყვით, მკვიდრ ნიადაგზე იქმნა დაყენებული აგრარული სტატისტიკა ამ სიტყვების ფართო მნიშვნელობით. ამ გარემოებას თვით ჩვენი პროექტის შემადგენელნიც კი ჩაუფიქრებია და თავის განსამარტებელ მოხსენების ერთ ადგილას გულახდილად აღიარებენ—კარგი იქნებოდა, კავკასიაში ერობა ყოფილიყო, რადგან განზრახულ საქმეში დიდ დახმარებას გაუწევდა მთავრობასაო! თქვე დალოცვილებო, თუ მაგრეა, რაღას უყურებთ? თქვენსავე ხელთ არ არის მაგ საჭირო დაწესებულების შემოღება?!. მაგრამ, იმის მაგიერ უფრო ეპრიანებათ ახალ-ახალ კანცელარიების შექმნა.

ამ ახლად განზრახულ ბიუროკრატიულ დაწესებულებაზე ჯერ-ჯერობით ხარჯი გამოანგარიშებულია სამი მილიონი მანათი; ვამბობთ „ჯერ-ჯერობით", რადგან ასეთ შემთხვევებში ხარჯთ-აღრიცხვა ყოველთვის ჩამორჩება ხოლმე სინამდვილეს, პროექტის ასრულებას. მეორეც, ისიც სახეშია მისაღები, რომ განზრახული მუშაობა არ დასრულდება იმ ექვსი წლის განმავლობაში, რომელიც კანონ-პროექტით არის ნავარაუდევი. მაშასადამე, ხარჯიც მეტი იქნება. სამ მილიონ მანათიდან, პროექტით, 60%, ესე იგი, 1,800.000 მანათი აღებული იქნება კავკასიის საერობო თანხიდან, ხოლო 40, % ესე იგი, 1.200.000 მან. ხაზინიდან. ხაზინამვე უნდა იკისროს იმ 13 ახალ გადასახადთა ინსპექტორების ჯამაგირი, რომელთა დანიშვნა პროექტითაა განზრახული... ამრიგად, ჩვენს საერობო თანხას, რომელიც უმისოდაც ვერ უძლევს ადგილობრივ საჭიროებათ, კიდევ ეკისრება დიდი ზედმეტი ხარჯი...

ამნაირია დაახლოვებით ის ახალი კანონპროექტი, რომელიც შემუშავდა ბიუროკრატიულს ლაბორატორიაში და სახ. სათათბიროს ერთ-ერთ კომისიაში იხილება ამ ჟამად. არ ვიცით, როგორ დაუხვდება მას სათათბირო, მაგრამ ის-კი ვიცით რომ მის განხორციელებით უძნელესი საქმე გადასახადთა სისტემის შეკეთებისა ბევრს ვერაფერს მოიგებს. ძალიან შესაძლებელია, რომ ექვსი წლის შემდეგ, ამ აუარებელ შრომის გაწევისა და ხარჯის გაღების შემდეგ, ჩვენ ისევ იმ საჭიროების წინ ვიდგეთ, რომლის წინ დღესა ვართ... ნაყოფიერი და მიზანთ შესაფერისი საკანონმდებლო მოღვაწეობაც ამასა ჰქვიან.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ქალაქის საბჭოს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიამ** შეადგინა გეგმა მომავალ მოქმედებისა, რომელიც უნდა გამოიხატოს წმინდა ფინანსიურ ხასიათის რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხის გადაწყვეტაში. ეს საკითხებია: 1) დახურულ ბაზრების მოწყობა, 2) ქალაქის შემოსავლის გადიდება საიჯარო ფასის მომატებით, 3) ცეცხლის მქრობელ რაზმის შენობის ძველ მიწაზე ახალ შენობის აგება, ამ ჟამად (ველიამინოვის ქუჩაზე) მოთავსებული საპოლიციო დაწესებულებანი უნდა გადაიტანონ, 4) ქალაქის ქუჩებისა და მოედნების მოსარწყავ და დასაგველ ხარჯების შემცირება, 5) ქუჩების მოკირწყვლა საუკეთესო სისტემით და ამ საქმის განსახორციელებლად დროებით კომისიის არჩევა, 6) დროებით კომისიის არჩევა ქალაქის ინვენტარის საკითხის გამოსარკვევად, 7) გადასინჯვა ქალაქის საბჭოს და გამგეობის კანცელარიის შტატებისა და ამ საქმისათვის დროებით კომისიის არჩევა, 8) ქალაქის კონტროლის მოქმედება, 9) შრომის ბირჟა, 10) ციციაანთ აღმართის მოწესრიგება, 11) ქალაქის საავადმყოფოებისთვის სასმელისა და სურსათ-სანოვაგის მიწოდების საქმის მოწესრიგება, 12) მეტი დამზოგველობა ახალ შენობების აგების დროს, 13) ქალაქის ქონების დაზღვევა ერთს დამზღვევ საზოგადოებაში, 14) სარევიზიო კომისიის შემწეობით ახლო გაცნობა იმ საქველმოქმედო და საგანმანათლებლო საზოგადოების საქმეებისა, რომელიც ქალაქისაგან შემწეობას იღებს და 15) წესად შემოღება იმისა, რომ ისეთი მოხსენებანი, რომელიც ხარჯს იწვევს, გამგეობამ ჯერ საბჭოს წარუდგინოს და შემდეგ საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას გადასცეს.

✦ **საბირჟო ცნობები**. 19 მარტს შეთანხმება არ მოხდა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 90 კ., აძლევენ—85 მან. 50 კაპ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—83 მ. 15 კ., აძლევენ—82 მან. 80 კ. და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—78 მან. აძლევენ—77 მან. 25 კ.

✦ ქალაქის გამგეობის სასტატისტიკო ბიურომ შეიმუშავა ის მასალები, რომელიც შეგროვდა **ქალაქის უძრავ ქონების უკანასკნელ შეფასების დროს.** ცალ-ცალკე აღნიშნულია რამდენი ქონება ქალაქს ეკუთვნის, რამდენი ხაზინას, რამდენი სამღვდელოებას და კერძო პირებს და სხვა.

✦ **ქალ. ტფილისის დავალიანება.** ხვალ ქალაქის გამგეობას საგანგებო კრება აქვს, რომელზედაც უნდა გადასწყვიტოს საკითხი: რა გზით გაისტუმროს ქალაქის ზარალი (2 მილიონი) და შემდეგ საბჭოს უახლოეს კრებას შესაფერი მოხსენება უნდა წარუდგინოს.

✦ **სასალახოს გარშემო.** სარევიზიო კომისია დღეს ქალაქის სასალახოს ამშენებელ კომისიისაგან მოისმენს პასუხს იმ კითხვებზე, რომელიც სასალახოს რევიზორთა მოხსენების გამო ჰქონდა მიცემული.

✦ **აბასთუმნის სანატორიის** აგების ხარჯთ-აღრიცხვა 300,000 მან. არის ნავარაუდევი. ჭლექთან მებრძოლი კავკასიის საზოგადოების გამგეობა, 21 მარტის კრებაზე, მცოდნე პირთა მონაწილეობით, საბოლოოდ შეადგენს დაწვრილებით ხარჯთ-აღრიცხვას.

✦ **გ. ი. მირზოევის სახელობის სტიპენდიები.** განსვენებულ გ. მირზოევის მიერ ნაანდერძევ თანხით ქალაქის გამგეობამ 5% სახელმწიფო ქაღალდები შეიძინა, ნახევარ მილიონ მანეთისა და სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორაში შეიტანა სამუდამო ხელ-უხლებელ თანხად. ამ ფულის სარგებლით დაარსდება 70 სტიპენდია. 30 სტიპენდია უკვე არსებობს.

ქალაქის გამგეობას აზრად აქვს, შუამდგომლობა აღძრას ქალაქის საბჭოს წინაშე, რათა საპიორნი ქუჩას განსვენებულ ქველმოქმედის გ. ი. მირზოევის სახელი ეწოდოს.

✦ **ტფ. ტრამვაის დირექციას** 1912 წელს, ტრამვაისაგან მთელი შემოსავალი ჰქონია 1.301,963 მან. 29 კაპ.

✦ **ქალაქის კონტროლის** 1912 წლის მოქმედების ანგარიშს დღეს ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისია განიხილავს, ხოლო 21 მარტს—საბიუჯეტო-საფინანსო კომისია.

✦ 4 აპრილს საარტისტო საზოგადოების შენობაში **ქართული სასულიერო კონცერტი** გაიმართება სასულიერო სემინარიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე, წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ძმობის სასარგებლოდ.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალ **„განათლების"** უკანასკნელი (მესამე) ნომერი. **შინაარსი:** 1) მეფის მოადგილის წერილი კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველთან. 2) ჰიგიენა: დედამიწა და მისი ზედაგი—ილ. ალხაზიშვილი. 3) პროფ. გურლიტტი. მოვალეობა — ლ. ბოცვაძე. 4) ჰქონ ა თუ არა რამე მნიშვნელობა ა ასოს გამოთქმის დროს?—პეტრე მირიანაშვილი. 5) საზოგადოებრივი აზრები მე-XIX საუკუნის სიტყვა-კაზმულ მწერლობაში—ს. დადიანი. 6) კეისარ იმპერატორი. ტრაგედია სამ მოქმედებად, თარგ. გერმანულიდან ალ. შანშიაშვილი და მ. შევარდნაძე. 7) ეგოიზმის მსხვერპლი (ესკიზი) გ. ე—ძე. 8) ნადირთა პატრონი—ვაჟა-ფშაველა. 9) დაბურულ მთებში—გელა. 10) სუყველა დაკარგულია—ი. მჭედლიშვილი. 11) ახალი სიტყვა—ლადო გეგეჭკორი. 12) *** ილ. გოგია. 13) ერთი ზღაპართაგანი ტეტმაიერიდან—მესხი ვ. მიქნელაძე. 14) რად მიყვარს დაუვიწყარი იაკობ გოგებაშვილი და მისი „დედაენა"—ი. გ—რი. 15) სქესობრივი საკითხი, წერილი დასთან II—ივ. გომართელი. 16) ს.-დ. ფრაქციის შეკითხვა კავკასიის სამოსწავლო მთავრობის უკანონო მოქმედების შესახებ. 17) ნიკოლოზ ბარათაშვილი — ილ. ფერაძე. 18) უცხოეთი. საბავშვო ბაღი პარიზში—ნ. ბ—ძე. 19) კიდევ 1881 წ. სასწავლო გეგმის გამო (წერილი დიდი ჯიხაიშიდან)—მფრინავი კატა. 20) სახალხო სკოლის ცხოვრებიდან. კიცხის ბავშვთა მაისის კავშირი—სავლე აბულაძე. 21) ბიბლიოგრაფია. Кавказская школа № 1—დ. კარიჭაშვილი. „თინას ლეკური", „მაგდანას ლურჯა" და ალ. მირიანაშვილის იგავ-არაკები. 22) წერილი რედაქციის მიმართ—ნ. კანდელაკი. 23) დამატება: ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის საზოგად. მოქმედებისა საზოგადო კრების ოქმები. 1913 წლის შემოსავალ - გასავლის ხარჯთ აღრიცხვა.

✦ გუბერნატორმა დააჯარიმა პოლიციის მოთხოვნილების შეურულებლობისა და მის მოქმედებაში ჩარევისათვის: ნიკოლოზ ზაალიშვილი—50 მან. ვასილ კაცება, ილია იაშვილი, ალექსანდრე კოხლოვი და ლევან არუთინოვი—თითო თუმანით. თუ ჯარიმას არ გადაიხდიან პირველს 20 დღით, ცანარჩენთ ხუთ-ხუთის დღით დააპატიმრებენ.

✦ ტფილისში უკვალოდ დაიკარგა მარტყოფის მცხოვრები ივანე გიუნაშვილი, 70 წლისა.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ** დაასრულა მოლაპარაკება სახლის პატრონთა და მდგმურთა საზოგადოებასთან, რომელიც პირველისაგან ვერაზე, ქართულ გიმნაზიის იქით, მიწასა ყიდულობს. საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მიიღო მხედველობაში, რომ სახლის პატრონთა საზოგადოებას, ამ მიწაზე იაფ ბინების აგება ჰსურს და დასთანხმდა ერთ დესეტინაზე მეტი მიწა 28,000 მან. დაუთმოს, ე. ი. იმ ფასად, რამდენადაც თვითონ დაუჯდა ეს მიწა 12 წლის წინად.

✦ **კავკასიელ ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების** კრება 17 მარტს მოხდა. წარსულ წლის მოქმედების ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, კრებამ გამგეობის წევრებად აირჩია: მ. დ. ელჩუკოვი, ს. გ. ალდადანოვი და რ. ა. იოანისიანი.

## ქუთაისი

✦ თავად-აზნაურობის წარმომადგენლებმა ამას წინად შუამდგომლობა აღძრეს სახალხო განათლების მინისტრის წინაშე, რათა მას ქართულ გიმნაზიის მე-VII კლასში შემოსულ მოწაფეებისათვის ნება დაერთო ეგზამენები ჩაებარებინათ სიმწიფის მოწმობის მისაღებად. ამის შესახებ გიმნაზიის გამგემ ანდრია ერისთავისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: მინისტრს საწინაღმდეგო არაფერი არა აქვს, იშუამდგომლეთ მეფის მოადგილესთანაო.

✦ ქუთ. კლასიკური გიმნაზიის მოწაფეებმა არჩ ჯორჯაძეს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნეს:

„ღრმად პატივცემულო, არჩილ! ჩვენ, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოწაფეები, რომელთაც გვესმის თქვენი გულწრფელი სამსახური სამშობლოისა და ღვიძლის მწერლობის წინ, როგორც ჭეშმარიტებას და სამართლიანობას ტრიბუნისას, მოგიძღვნით სალამსა და გისურვებთ გამომთქმელებას.

✦ სამოსამართლო ნიკო ნიკოლაძის საქმეს ივნისში გაარჩევს.

✦ სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ნება დართო ნიკ. წუწუნავას აასრულოს ჭიათურის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორის თანამდებობა, სასწავლო წლის დასრულებამდე.

✦ შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს აზრად აქვს ჭიათურის ქალთა პროგიმნაზია გადააკეთოს ქალთა უმაღლეს პირველ-დაწყებით სასწავლებლად. წლიური ხარჯი ნაანგარიშევია ამ საგნისთვის 9000 მანათი. საბჭოს ამის თაობაზე ექნება მსჯელობა მორიგ. სხდომაზე, ე. ი. 18 და 19 მარტს.

✦ ქუთაისში გამოვიდა ყოველ დღიური რუსული გაზეთი „კუტაისკი ლისტოკი".

### შეცდომის გასწორება.

გუშინდელს მეთაურში დაბეჭდილია: „ყველა უჩივის მის უსამართლობას, მის უსწორ-მასწორო **განახლებას**". უნდა იყოს **განაწილებას.** ქვემოდ ნახმარია სიტყვა „ნომრები" უნდა იყოს **ნორმები.**

# გალაღებული აზროვნება

როდესაც პირველად ჟურნალი „კლდე" გამოვიდა, გვეგონა იგი ზომიერი მიმართულების მატარებელი იქნებოდა და პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტის დროს, ყოველ შემთხვევაში, პროგრესიულ ნიადაგზე მაინც იდგებოდა. მაგრამ „კლდე"-მ თან-და-თან ფერი იცვალა და ეხლა კი, ბ-ნი შ. ამირეჯიბის პირით, ისეთი კონსერვატიული სახით მოგვევლინა, რომ არ შეგვიძლიან მკითხველის განსაკუთრებული ყურადღება არ მივაქციოთ. გალაღებული შ. ამირეჯიბი, რომელსაც, როგორც ეტყობა, წყალის ნაყვა უფრო ეხერხება, ვიდრე რთული სოციალ-პოლიტიკური საკითხების განსაზღვრა და, მით უფრო, გადაწყვეტა, ჩვენს აზრს ხიზნების შესახებ ამნაირის წინასიტყვაობით უხვდება: „სახალხო გაზეთმა" ისიც კი გვიჩვენა, თუ როგორ შეიძლება საკუთარ თავთან ბრძოლა. ცეცხლისაგან შეშინებული დოს უბერავდაო—ნათქვამია და დუმილიც რომ რეაქციონერობაში არავის ჩამოერთმია, იგი მთელის მეთაურით გამოვიდა ჩვენს წინაღმდეგ. მათ ჰსურთ ჩვენს თავზე კაკალი ამტვრიონ და ისე აღადგინონ თავიანთი დემოკრატიული პრესტიჟი."

როგორცა ჰხედავთ, „კლდის" გალაღებული პუბლიცისტი, კამათის არსებითად დაწყებამდე, ცდილობს ჩვენი გულწრფელობის შესახებ ეჭვი აღუძრას მკითხველს და ამ რიგად, ჭუჭყიანი საშუალებით, გზა გაუკაფოს თავის რეაქციონურ შეხედულებას. ეს იმდენად მოცვეთილი საშუალებაა ბრძოლისა, რომ დიდხანს მასზე არ შევჩერდებით. ჩვენ არავის არ ვაწონებთ ჩვენს თავს, არავის ანგარიშს არ ვაბარებთ, პასუხისმგებელი ვართ ჩვენის პოლიტიკური სინიდისის წინაშე, და ამნაირის საშუალებით მებრძოლ მოწინააღმდეგეებთანაც შეჩვეული, პირდაპირ საგანზე გადავალთ. ჟურნალი „კლდე" ლექციას გვიკითხავს კანონისა და კანონიერების შესახებ. ეს „ლექცია" იმდენად საყურადღებოა და იმდენად დამახასიათებელია რეაქციონურ აზროვნებისა, რომ არ შეგვიძლიან ცოტა დიდხანს არ შევჩერდეთ. „რუსეთი დემოკრატიულის პრინციპებით კი არ არის ღარიბი, მასში ნაკლებია უფლებრივი პრინციპის შეგნება. კანონი მუდამ იყო, მაგრამ მასთანვე არსებობდა მთავრობის „ფართო შეხედულება", რომელიც ბოლოს ულებდა ყოველ კანონს. მთელი პროგრესიული და დემოკრატიული რუსეთი დღეს იმასა სჩივის, რომ კანონს არღვევენ ადმინისტრატიული წესით. დემოკრატიული „სახალხო გაზეთი" კი გამოდის და სწორედ მთავრობის ამ „ფართო შეხედ ილებას" უკრავს ტაშს".

ამ ამონაწერში იმდენი შეუსაბამობა და სრული გაუგებრობაა, რომ არც კი იცის ადამიანმა, საიდან დაიწყოს. უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია ის ფრიად უცნაური აღმოჩენა, რომ რუსეთში, თურმე, ბევრი დემოკრატიული პრინციპი და დემოკრატიული კანონი ყოფილა, მაგრამ აღმსრულებელნი არ ვარგებულან. რანაირი არიან აღმსრულებელნი, ამის გამო „კლდე"-ს არ გამოვედავებით, მაგრამ ბევრი კარგი და ისიც დემოკრატიული კანონი რომ ყოფილა, ეს კი რაღაც უცნაურ ზღაპრად გვეჩვენება. ალბად, არსებული კანონები იმით თუ არის კარგი, რომ იგი საშუალებას აძლევს თავად-აზნაურობას მაგრად მოებღაუჭოს თავის დრო-მოჭმულ უფლებას და აჭყაროს ხიზნები იმ ადგილიდან, რომელიც, დღეს არა ხვალ, თუ სამართლიანობამ გაიმარჯვა, მათ უნდა დარჩეთ. თუ ეს არის „დემოკრატიზმი", მაშინ რუსეთში, მართლაც, ბევრი დემოკრატიული კანონი ყოფილა და მიჰქარავს ის, ვინც იძახის, არ ვარგა კანონები, ახალი, მანიფესტთან შეთანხმებული, კანონები უნდა გამოიცესო. ალბად „კლდე" და მისი თანამშრომლები კარგადა ჰგრძნობენ თავსა დღევანდელ უფლებრივ მდგომარეობაში. ეგრე იყოს.

„კლდე" ჯავრობს, ჩვენ კანონს ვიცავთ, თორემ თავად-აზნაურობის ინტერესი სრულიად არაფრად მიგვაჩნიაო. ამის დასამტკიცებლად ერთი ახირებული მოსაზრება მოჰყავს: „ადრე თუ გვიან ეს ინსტიტუტი მოისპობა, — სწერს გალაღებული პუბლიცისტი,—და თავად-აზნაურობას სარგებლობის მეტს არას მოუტანს. მაგრამ სჩანს თვით „სახალხო გაზეთს" არა აქვს წარმოდგენილი ის ზარალი, რომელიც უსათუოდ, მოჰყვება ამ რეფორმას, თუ ყველა ხიზნებისთვის არა, უმეტესობისთვის მაინც". ესეც ახალი აღმოჩენა და მასთანავე ისეთი აღმოჩენა, რომელიც ხარბად არის შეზავებული ავტორის ინდივიდუალურ ფანტაზიითა და ზეშთაგონებით. რომ უფრო კარგად დაგვარწმუნოს თავის სიტყვების სიმართლეში, ავტორი მომავალ რეფორმის სურათს გვიხატავს:

„საქმე შემდეგშია. ჩვენის წარმოდგენით. ამ ინსტიტუტის რეფორმა იმავე საზღვრებში მოხდება, როგორც „ყმათა" ინსტიტუტის გაუქმება. ხიზნებს ჩამოუჭრიან სწორედ იმდენ ზომა მიწას, რამდენიც მისცეს „ყმებს". მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ხიზნები ბევრს ადგილას გაცილებით მეტსა ჰფლობენ ფაქტიურად, ვიდრე მაშინ, როცა მათ ეს „ნადელები" მიეცემათ, აქედან დასკვნა მხოლოდ ერთი უნდა იყოს: მემამულეებს, პირიქით, დაუბრუნდებათ ის მიწები, რომლებიც ზედ-მეტად უჭირავთ ხიზნებს".

მშვენიერი დასკვნაა! სწორედ სამწუხაროა, რომ „კლდე" თავისი თანამშრომელით კანონმდებელი არ არის და ხიზნებისათვის კანონებს არა სწერს.

ჯერ ერთი, მათ „სენტიმენტალურად გული არ აუჩუყდებოდათ" და, მეორეც, თავის დებულებას ლოღიკურ დასკვნამდე მიიყვანდნენ. მათ შეეძლოთ დაახლოვებით ასეთი მსჯელობა დაეწყოთ: გავანთავისუფლებთ ხიზნებს დღევანდელი მდგომარეობიდან, მხოლოდ ისე კი, რომ მათ არაფერი არ მიიღონ. თუ ხიზანს ფაქტიურად ამდენი და ამდენი დესეტინა უჭირავს, ეს მხედველობაში მისაღები არ არის. მივცემთ იმდენს, რამდენიც ჩვენ მოგვეპრიანება, ან სრულიად არაფერს არ მივცემთ. მაშინ აღმოჩნდება, რომ ხიზნების ინსტიტუტის გაუქმებით, ისინი კი არ იგებენ, ძალიან ზარალობენ. მაშასადამე, ვინც ხიზნების ინსტიტუტის დღევანდელს პირობებში დარჩენას ჰქადაგობს, ის თავად-აზნაურობის ინტერესს კი არ იცავს, არამედ იმავ „საწყალ" ხიზნებისას, რომელთაც მერე, განთავისუფლების შემდეგ, გაცილებით ნაკლები მიწა მიეცემათ.

აი, ასეთია ლოღიკური მსჯელობა „კლდის" გალაღებულ აზროვნებისა. იგი დარწმუნებულია, რომ ამნაირის საბუთებით რისიმე დამტკიცება შეიძლება. მაგრამ, თუ ეს აზროვნების „სალტო მორტალე" პუბლიცისტიკაა და ხიზნების მდგომარეობის გაუმჯობესება, მაშინ თავად-აზნაურ ცნობილ პროექტს, ბეჟდვითი საქ[...] შესახებ, შეგვიძლიან სიტყვის თავისუფლება ვუწოდოთ. არაფერს მოგცემ და ამით დაგიმტკიცებ, რომ დღევანდელი შენი მდგომარეობა სჯობიანო,—ასე ეუბნება „კლდის" ბრძენი პუბლიცისტი ხიზნებს.

მაგრამ ვსთქვათ, მთავრობამ სწორედ ასე დააყენა საკითხი ძ ხიზნები ისე გაანთავისუფლა, რომ დღევანდელი მდგომარეობა დაანატრა. განა ეს საბუთს გვაძლევს ასეთი რეფორმა მოვიწონოთ და მით უფრო წინდაწინვე ვუკარნახოთ საკითხის ასეთი გადაწყვეტა, როგორც „კლდე" სჩადის? „პროგრესიული" ახალგაზდების ორგანო წინდაწინვე უკარნახებს მთავრობას ხიზანთა ინსტიტუტის გაუქმების პროექტს, წარმოუდგენია, რომ მთავრობამ სწორედ ამ პროექტის მიხედვით განახორციელა რეფორმა და მერე თითონვე დაასკვნა, რომ იგი თავად-აზნაურებისთვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ხიზნებისთვის.

არ ვიცით, დაუჯერებს თუ არა მთავრობა „კლდე"-ს, მაგრამ ასეც რომ მოჰხდეს და „კლდის" მიერ ნაკარნახევი პროქტი განხორციელდეს, ჩვენ მასაც დავიწუნებთ და ყოველთვის სიამოვნებით მივეგებებით ისეთს ზომას, რომელიც მიმართული იქნება ხიზნების მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ, თუნდაც ეს ზომები მოძველებულ კანონებს არ ეთანხმებოდეს.

**არ. ჯ—შვილი.**

# ტფ. ქალაქის საბჭო

18 მარტის კრება.

კრება საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე დაიწყო ქალაქის მოურავ **ა. ი. ხატისოვის** თავჯდომარეობით. წარსულ კრების ოქმის წაკითხვის შემდეგ, ხმოსანი **პოპოვი** შეეკითხა გამგეობას: ტრამვაის დირექციამ უკანასკნელ ხანს ტარიფი გაადიდა, რამდენად შეეფერება ახალი ტარიფი დირექციასთან დადებულ ძირითად ხელშეკრულობას და რა ღონისძიებანი მიიღო გამგეობამ საქმის გამოსარკვევად?

ქალაქის გამგეობამ განმარტა: ტარიფის მომატების გამო რამდენიმე კრება ჰქონდა ქალაქის სატრამვაიო კომისიას, მაგრამ ვერ გამოარკვია, სამართლიანია თუ არა ტარიფის მომატება, რადგანაც საქმის განხილვის დროს წააწყდა ისეთს საკითხებს რომელსაც წმინდა იურიდიული ხასიათი აქვს; ამიტომ საქმის გამორკვევა და თავის აზრის წარმოდგენა ქალაქის იურისკონსულტს დაევალა.

საბჭომ დაადგინა, სენატში საჩივარი შეიტანოს ქალაქის საქმეთა [...] გუბერნიო საკრებულოზე, რო[...]ლიც არ დაეთანხმა ქალაქის საბ[...] დადგენილებას. ამ დადგენილებ[...] საბჭომ ბინის ფულის მიცემაზე უარი უთხრა სამხედრო-სამკურნალო ინსპექტორად ნამყოფ ქილანსკას ქვრივს.

საბჭომ შეიწყნარა განცხადება **ხმ. ლ. გ. ევანგულოვისა**, რომელმაც სარევიზიო კომისიის წევრობაზე უარი სთქვა, და მის ნაცვლად **ხმ. თამამშევი** აირჩია.

საბჭომ მოისმინა განცხადება დ. ვ. ბეზობრაზოვისა, რომელსაც ხმოსნობისთვის თავის დანებება ჰსურს და, ხმ. მიტკევიჩის წინადადების თანახმად, დაადგინა: სთხოვოს დ. ვ. ბეზობრაზოვს, როგორც კარგ ფინანსისტს, ხმოსნად კვლავ. დარჩეს.

საბჭომ მხედველობაში მიიღო განცხადება **ხმ. ი. მ. დოლუხანოვის**, რომელმაც წესიერ დასვენების ახ[...] სავალდებულო დადგენილებათა [...] დამთვალიერებელ კომისიის წევრ[...]ბას თავი დაანება.

საბჭომ უკამათოდ მიიღო ქალაქის გამგეობის მოხსენება: შეიტანოს დამატებით ხარჯთ-აღრიცხვაში № 1—7,000 მან. ჯარების ბინის ხარჯების გასასტუმრებლად.

კამათი გამოიწვია **ვაკეს მოწესრიგებისა და დაგეგმის პროექტმა.** ამ პროექტის გამო საბჭოს წინა კრებამ დიდხანს იკამათა, ზოგიერთი რამ გამოარკვია (რაც მკითხველთ დროზე ვაცნობეთ) და გამგეობას დაავალა შესაფერ რეზოლუციის შედგენა, რომელიც გამგეობამ 18 [მა]რტის კრებას წარუდგინა. რეზოლუცია, რომელიც საბჭომ დი[დი] ხმის უმეტესობით მიიღო, ასეთია: „ქალაქის გამგეობის მიერ შედგენილი გეგმა ვაკეს მოწესრიგებისა საბჭომ მხედველობაში მიიღო და მის

დამტკიცებამდე ნება დართო გამგეობას, დაამტკიცოს ხოლმე მემამულეთა მიერ წარმოდგენილი პროექტები შენობებისა იმ შემთხვევებში, როდესაც ეს პროექტები ეთანხმება გამგეობის მიერ შედგენილ გეგმის უმთავრეს მოთხოვნილებებს; ამასთანავე გამგეობამ ამ პროექტებზე უნდა წააწეროს, რომ ზედ ნაჩვენები ქუჩები მხოლოდ პროექტია; დაევალოს გამგეობას, საბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს მხოლოდ ის პროექტები ვაკის დაგეგმვისა და მოწესრიგებისა, რომელიც სავსებით ეთანხმება ზემოხსენებულ გეგმას; ქუჩები, რომელიც გეგმაზე ნაჩვენებია მე-25 და 30 ნომრებით, უნდა იყოს, ექვსის საჟენის მაგივრად, ათ საჟენიანი."

მცირე ახსნა-განმარტება გამოიწვია საკითხმა: მიეცეს თუ არა შეწეობა ქალაქის სკოლების სამღთოსჯულის მასწავლებლად ნამყოფს **მღვდელ თებზაძეს**. მღვდელი თებზაძე მასწავლებლად 12 წელიწადს ყოფილა და, ქალაქის რევიზორთა სიტყვით, იგი კარგ მასწავლებლად ითვლებოდა. ერთის წლის წინად საქართველოს ეგზარხოსს კი, ეპისკოპოს პიმენის მოხსენების თანახმად, დაუთხოვნია, როგორც რუსულის ენის თავისუფლად არ მცოდნე და უხეირო მასწავლებელი. ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიას დაუდგენია, მღ. თებზაძეს აღმოუჩინოს 300 მ. ერთდროული დახმარება. მას ქალაქის გამგეობაც მიმხრობია. პენსიათა და შეწეობათა გამნაწილებელ კომისიას კი ერთის ხმის წინააღმდეგ (ხმ. პ. გოთუასი) დაუდგენია, უარი ეთქვას მღვდ. თებზაძეს შეწეობაზე, რადგანაც 15 წელიწადს არ უმსახურნია და ამიტომ შეწეობა არ დაუმსახურებიათ.

**ხმ. პ. გოთუა.** მღვდელი თებზაძე კარგ მასწავლებლად ითვლებოდა. რევიზორები მასზე მუდამ საუკეთესო აზრისანი იყვნენ, მაგრამ ეპისკოპოსმა პიმენმა კი ასე არ შეჰხედა და დაითხოვა. სწორედ მის დათხოვნის შემდეგ დაიწყო უთანხმოება ქალაქსა და ეგზარხოს შორის. იმედი მაქვს, ქალაქის საბჭოს მსჯელობა ექნება საერთოდ ამ უთანხმოების შესახებ და თავის უფლებებს დაიცავს; ამიტომ ამას ეხლა თავს დავანებებ და ვიტყვი, რომ მღვდელი თებზაძე სამსახურიდან თავის ნებით არ წასულა, არც ქალაქს დაუთხოვნია, არამედ მსხვერპლი გახდა ზემოხსენებულ უთანხმოებისა, რისთვისაც მას შეწეობა აუცილებლად უნდა მიეცეს, თუმცა 15 წელიწადს არ უმსახურნია.

საბჭომ დიდის ხმის უმეტესობით დაადგინა, მიეცეს მღვ. თებზაძეს 300 მ.

ქალაქის საბჭომ უარი უთხრა ქალაქის გამგეობის წევრადა და ქალაქის ინჟინრად ნამყოფ **პ. ლ. ალიხანოვის** ქვრივს, რომელიც შემწეობას თხოულობდა თავის ქმრის საფლავზე ძეგლის დასადგმელად.

საბჭომ დაამტკიცა გამგეობის მიერ შედგენილი **გეგმა „ახალშენის“** მოწესრიგებისა. ამ გეგმით უმთავრესი ქუჩა ათსაჟენიანი უნდა იყოს, დანარჩენი—ექვს საჟენიანი.

**წესიერ დასვენების** ახალ დადგენილებათა შევსება ქალაქის საბჭომ ჯერ ნაადრევად სცნო.

გამგეობის მოხსენება კვეესისა და ახვერდოვის მიწების მოწესრიგებისა ქალაქის საბჭომ მიიღო.

მოვაგონებთ
**ხელის-მომწერლებს,**
რომ ვინც **პირველ აპრილისთვის** ხვედრ ფულს (2 მან.)
არ შემოიტანს, გაზეთის გზავნა
**მოესპობა.**

## სახალხო სკოლები განსაცდელში
**(წერილი ქუთაისიდან).**

მკითხველს უთუოდ ეხსომება, თუ რა აურ-ზაური ასტეხა ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობამ და პრესამ გროზდოვ-კრუპსკის უკანონო განკარგულების გამო, რომლებმაც, თავის ნებით, თუ უმაღლესი სამოსწავლო მთავრობის ნებართვით, გააუქმეს ქალაქის დაწყებით სკოლებში 81 წლის სამოსწავლო გეგმა და წინადადება მისცეს მასწავლებლებს—რუსული ენის სწავლება პირველ მოსამზადებელ კლასში დაეწყოთ სექტემბრიდანვე, ე. ი. იმ დღიდანვე, როდესაც 6—7 წლის ბალღი, ქართულადაც ძლივს მოტიტინე, პირველად შედის სასწავლებელში. ხოლო, ვინც ამ წინადადებას არ შესრულებდა, ადგილიდან დათხოვნით ემუქრებოდნენ. და მართლაც, ორი მასწავლებელი კიდეც დაითხოვეს სამსახურიდან; დანარჩენი მასწავლებლების დათხოვნის შესახებ კი (გარდა სამი სკოლის გამგისა), როგორც ვიცით, ოლქის მზრუნველს წარუდგინეს მოხსენება.

დირექციისა და ინსპექციის უკანონო განკარგულებით აღშფოთებულმა ქალაქის საბჭომ, ერთხმად მიიღო სასკოლო კომისიის ვრცელი, დასაბუთებული მოხსენება და დაადგინა—აღძრულიყო შუამდგომლობა ხელმწიფის მოადგილის წინაშე შესახებ იმისა, რომ გაუქმებულიყო ადგილობრივი დირექციისა და ინსპექციის უკანონო განკარგულება და ქალაქის დაწყებით სკოლებში 81 წლის სასწავლო გეგმა აღდგენილიყო; ამასთანავე გამოერკვიათ, რა უფლებები აქვს—ერთი მხრით ადგილობრივ სამოსწავლო მთავრობას და—მეორე მხრით—ქალაქის თვითმმართველობას ქალაქის დაწყებით სკოლების მართვა-გამგეობაში.

ქალაქის საბჭოს დადგენილების პირი და მთელი მასალა დირექციისა და ინსპექციის უკანონო განკარგულებათა შესახებ გაეგზავნა სახელმწიფო სათათბიროს წევრს ვ. გელოვანს, რომ მას სათათბიროში შეკითხვა შეეტანა ამ საქმის შესახებ. რით გათავდა სათათბიროში ეს შეკითხვა, სოციალ-დემოკრატების მიერ დაწერებით შეტანილი, უთუოდ ახსოვს მკითხველს და, მგონი, არც აროდეს დაავიწყდეს, იმდენად ღირსსახსოვარია ამ საქმეში სოციალ-დემოკრატების მიერ ჩადენილი საქციელი. ჩვენში კი ეს საქმე მიფუჩეჩდა.

ოლქის მზრუნველი ბ. რუდოლფი პილატესავით ხელს იბანს ამ საქმეში და ყველაფერს ადგილობრივ სამოსწავლო მთავრობას აჰყვებს თავზე, თითქოს უკანასკნელი მის დაუკითხავად და ნებადაურთველად ახდენდა ამ უკანონო განკარგულებას; მეტად კარგად ჰქონია მას შესწავლილი ჩვენი საზოგადოების ზნე-ხასიათი და სცოდნია მისი დასამშვიდებელი წამალია—ხელმწიფის მოადგილესთან საჩივრის აღძვრა რა საჭიროა, როდესაც ამ საქმეს მე თვითონ მოვაგვარებ შინაურულად და თქვენს სურვილს დავაკმაყოფილებ: 81 წლის სასწავლო გეგმაც აღდგენილი იქნება და დათხოვნილი მასწავლებლებიც—დაბრუნებულიო,—დაჰპირდა ბ-ნი ოლქის მზრუნველი ქალაქის მოურავს ბ-ნს ჩიქოვანს. მასაც, სრულიად დარწმუნებულს, რომ მზრუნველის დაპირება შესრულდებოდა, განკარგულება მოუხდენია, რომ ქალაქის შუამდგომლობა ხელმწიფის მოადგილის წინაშე გუბერნატორის კანცელარიაში შეჩერებულიყო. ამგვარად ქალაქის თვითმმართველობამ შეასრულა ოლქის მზრუნველის წინადადება და შეაჩერა საჩივრის აღძვრა. მაგრამ ბ-ნმა მზრუნველმა კი შეასრულა თავისი დაპირება? მას აქეთ გადის თითქმის ორი თვე და ჯერ-ჯერობით ვერაფერსა ვხედავთ, გარდა იმისა, რომ ადგილობრივი სამოსწავლო მთავრობა ცოტათი მოტყდა, მიუხდა და ქალაქის თვითმმართველობას ისე აბუჩად აღარ იგდებს, როგორც ამდენხანს. მან შესცვალა წინად სასწავლებლებში დაგზავნილი გაკვეთილების ნუსხა. ახალი ნუსხით რუსული ენის დაწყება აღარაა სავალდებულო პირველს განყოფილებაში სექტემბრიდანვე, თუმცა იანვრიდან კი რუსული ენის გაკვეთილების რიცხვი გადიდდა და კვირაში, სამი გაკვეთილის ნაცვლად, ექვსი დანიშნა; დათხოვნილი მასწავლებლებიც თავის ადგილებზედ არიან, ახლად არჩეული მასწავლებლებიც დაამტკიცა და სხ. ერთი სიტყვით, ადგილობრივს სამოსწავლო მთავრობაში რაღაც ცვლილება კი მოხდა, მაგრამ რამ გამოიწვია ეს, თავისით იცვალა ფერი, თუ ძალად აცვლევინეს, არ ვიცით. ამის ცოდნა და ხელში ოფიციალური საბუთის ჩაგდება კი მიუცილებელი საჭიროა ქალაქის თვითმმართველობისათვის, რომ სამუდამოდ მოეღოს ბოლო ამ საკითხს და ქალაქის სკოლების ბედი ინსპექციის პირად სურვილსა და ჟიუტობაზე არ იყოს დამყარებული.

ერთის სიტყვით, აუცილებლად საჭიროა, რომ ქალაქის გამგეობამ სთხოვოს სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, აცნობოს მას ოფიციალურად, თუ რა განკარგულება მოახდინა მან ადგილობრივ სამოსწავლო მთავრობის უკანონო განკარგულებათა გამო და შეასრულა თუ არა მან თავისი სიტყვიერი დაპირება. თუ, ვინიცობაა, ეს დაპირება სავსებით არ იქმნა შესრულებული, იმ შემთხვევაში ქალაქის გამგეობამ დაუყოვნებლივ უნდა სისრულეში მოიყვანოს საბჭოს დადგენილება, მეფის მოადგილესთან საჩივრის აღძვრის შესახებ.

**ისარა.**

(დასასრული იქნება)

## სასამართლო

**ი. სულაბერიძისა და მ. ოგანჯანოვის საქმე.**

ტფილისის მეორე უბნის მომრიგებელ მოსამართლის კამერაში, გუშინ დაიწყო განხილვა ახალ სასალახოს ამშენებლის **მ. ოგანჯანოვისა და მოიჯარადრის ა. ი. ვახნიანსკის** საქმისა, რომელნიც სამართალში მისცა ხმოსანმა სულაბერიძემ ცილისწამებისათვის. ქალაქის საბჭოს 11 თებერვლის სხდომაზე ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა განაცხადა, ხმ. სულაბერიძე სარგებლობდა იმით, რომ სასალახოს ახალი შენობის სარევიზიო კომისიის წევრი იყო და ფულს სესხად იღებდა ოგანჯანოვისა და ვახნიანსკისაგან, რაც მათ თითონვე მითხრესო. ამის გამო ისინი სულაბერიძემ პასუხის გებაში მისცა. დილიდანვე სასამართლოს ოთახი ხალხით იყო გაჭედილი. ბრალმდებელის მხრით იყო ნაფ. ვექილი მაჭავარიანი, ბრალდებულთ იცავდა ნაფ. ვექ. გრუზენბერგი.

სასამართლოს სხდომის დაწყებისას,—სულაბერიძემ შუამდგომლობა აღძრა, რათა საქმის საბუთებში ჩაერთოს სარევიზიო კომისიის სხდომების ოქმების ასლი: 1912 წლის 23 მაისისა; 1913 წლის—2, 9, 16, 23 და 30 იანვრისა; 6 და 9 თებერვლისა 6 და 13 მარტისა; გარდა ამისა სულაბერიძემ იშუამდგომლა, მოწმებად გამოწვეულ იქმნენ: ხმოსნები: გ. კეილი, ლ. ვახნაძე, ა. ტერტეროვი და ს. მაზმანოვი; აგრეთვე გაზ. „ბაკუს“ თანამშრომელი ვ. ლიმარევი. ბრალდებულთა მხრივ, სხვათა შორის, მოწმედ გამოწვეული იყო ქალაქის მოურავი ხატისოვი.

**ნაფ. ვექ. გრუზენბერგი** მოსამართლეს სთხოვს ბრალმდებელის შუამდგომლობა უყურადღებოდ დასტოვოს, რადგან არც დასახელებულს ოქმებს და არც მოწმეებს საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვს. გარდა ამისა დამცველმა აღნიშნა, რომ ოგანჯანოვი და ვახნიანსკი ცილისმწამებელნი როდი არიან, რადგანაც ქალაქის საბჭოს 11 თებერვლის სხდომის რეზოლიუციით ხმ. სულაბერიძე, მისი შეუფერებელი მოქმედების გამო, ხმოსნების რიცხვიდან განდევნილ იქმნა. ეს რეზოლიუცია კი სრულიად ნათლად და გარკვევით ამტკიცებს, რომ ხმ. სულაბერიძე არამც თუ ფულს სესხულობდა, არამედ ამ სესხს ფულის გამოტყუების ხასიათი ჰქონდა (вымогательство).

ნაფ. ვექ. **მაჭავარიანი** (სულაბერიძის მხრით) ამტკიცებდა, რომ ქალაქის საბჭოს 11 თებერვლის სხდომის დადგენილება ხმ. სულაბერიძის განდევნის შესახებ სასალახოს ამშენებელ კომისიის თავმჯდომარის ა. ი. ხატისოვის მოხსენების შედეგია. ამიტომ ეს დადგენილება მხედველობაში არ უნდა იქმნას მიღებული. ამ დადგენილებას როგორც ფაქტიურ დოკუმენტს არა აქვს ის მნიშვნელობა, რომ სულაბერიძე, როგორც სარევიზიო კომისიის წევრი, გაამტყუნოს, ვინაიდან იგი გუბერნატორს ჯერ არ დაუმტკიცებია.

ხმ. **სულაბერიძე** კვლავ მოითხოვს საქმეში სარევიზიო მცირე კომისიის მოხსენებათა ასლის ჩართვას და მოწმების დაბარებას, რადგან ამას საქმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ოგანჯანოვისა და ვახნიანსკის მიერ გავრცელებულ ჭორებს სასალახოს აშენებასთან მჭიდრო დამოკიდებულება აქვს. ეს ხმები გავრცელდა შარშან ზაფხულიდანვე, იმ წამსვე, როგორც კი სარევიზიო მოქმედების ინიციატორმა მოქმედება დაიწყო. რევიზიამ სასალახოს აშენების დროს ბევრი ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინა და ამიტომ სრული გასაგებია, რომ ბ. გ. ხატისოვს, როგორც სასალახოს საამშენებლო კომისიის თავმჯდომარეს და ოგანჯანოვს, როგორც ამშენებელს, არამც თუ მცირე კომისიის მოხსენებების შებღალვა სჭირდებოდათ (Опорочить) არამედ სულაბერიძის პიროვნებისაც, და ამის გამო მისი შეურაცხმყოფელი ხმები გაავრცელეს.

ნაფ. ვექ. **გრუზენბერგი** სულაბერიძის სიტყვების წინააღმდეგ პროტესტებს აცხადებს და ამბობს, რომ სასალახოს აშენებაში არავითარი ბოროტმოქმედება არ ყოფილა, იყო მხოლოდ უბრალო დაუდევრობა. ა. ხატისოვი იმდენად პატიოსანი და ყველასათვის პატივსაცემი საზოგადო მოღვაწეა, რომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმის შესახებ, რომ მან რაიმე ცრუ ბრალი დასწამოს ვისმე.

კამათი ამის შესახებ დიდხანს გაგრძელდა. **ბ. ვახნიანსკიმ** სიტყვის თქმის ნება ითხოვა და განაცხადა, რომ არ ესმის რად მისცეს იგი სამართალში: **თავის სიცოცხლეში პირველად ჰხედავს ბ-ნ სულაბერიძეს** და ხატისოვისთვის არასდროს არაფერი უთქვამს ამის შესახებ.

ამ სიტყვების დროს დარბაზში ერთი სიცილ-ხარხარი ასტყდა. ყველა განცვიფრებაში მოვიდა. ნაფ. ვექ. **მაჭავარიანმა** განაცხადა, რომ ამ სიტყვების შემდეგ ვახნიანსკის ბრალდებაზე უარს ამბობს. მოსამართლისა და ვექილების გამოკითხვით გამოირკვა, რომ ბ-ნი ვახნინსკი სასალახოს ფაქტიური ამშენებელია, თუმცა იჯარა მისი რწმუნებით მისმა ძმამ აიღო. ნაფ. ვექილი **მაჭავარიანი** თხოულობს, ეს სიტყვები ოქმში იყოს შეტანილი.

ამის შემდეგ სასამართლოს სხდომა შესწყდა და მოსამართლემ განაცხადა, რომ სხდომის განახლების შემდეგ გამოაცხადებს რეზოლიუციას ბრალმდებელის შუამდგომლობის შესახებ.

სხდომის განახლების შემდეგ მომრიგებელმა მოსამართლემ გამოაცხადა რეზოლიუცია, რომლითაც დაადგინეს, ბრალმდებელის ყველა შუამდგომლობა დააკმაყოფილოს და აგრეთვე მოწმედ გამოწვეულ იქმნას სასამართლოში ვიხნიანსკის ძმა. საქმის განხილვა გადაიდო.

## საკანონმდებლო დაწესებულებებში

### დეპეშები.

საბიუჯეტო კომისიამ დაასრულა სატყეო დეპარტამენტისა და ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა. კომისიამ მოიწონა კანონ-პროექტი ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებათა გამრავლებისა.

### გაზეთებიდან.

**განხეთქილება კადეტების ფრაქციაში.**

სახელმწ. სათათბიროს კულუარებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია უეცრად გავრცელებულმა ხმამ, თითქოს კადეტების ფრაქციაში ისეთი განხეთქილება ჩამოვარდნილა, რომ ფრაქციის თავჯდომარე პ. მილიუკოვი ამ თანამდებობიდანაც კი გადამდგარაო.

როგორც გაზ. „დენ“-ი გადმოგვცემს, ეს ამბავი გაზვიადებული ყოფილა. მილიუკოვსა და მისი ფრაქციის დიდ უმრავლესობის შუა მართლაც მომხდარა აზრის სხვა და სხვაობა, სამხედრო და საზღვაო კომისიაში კადეტთა მონაწილეობის საკითხის გამო. ფრაქციის უმრავლესობის წინააღმდეგ, მილიუკოვი ამტკიცებდა, თურმე, რომ კადეტების ფრაქციამ უარი უნდა განაცხადოს ხსენებულ კომისიაში მონაწილეობაზე, რადგან სათათბიროს უმრავლესობამ სრულიად გააძევა ამ კომისიიდან უკიდურეს მემარცხენეთა წარმომადგენლებიო. ამ ნიადაგზე მომხდარა უთანხმოება მილიუკოვსა და ჩელნოკოვს შუა, რომელიც ხსენებულ კომისიის წევრად ითვლება. კადეტების პარტიის ცენტრალურ დაწესებულებებს მსჯელობა ჰქონია იმის შესახებ, მიატოვოს დეპ. ჩელნოკოვმა თუ არა სამხედრო-საზღვაო კომისიის წევრობაო. უმრავლესობამ მილიუკოვის წინადადება უარჰყო, რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ იგი თავს ანებებს ფრაქციის თავმჯდომარეობას მაშინ

# ათონის მონასტერი
**(ბერძნული წყაროების ცნობები)**

ხალკიდონიის აკადემიის პროფესორ გედეონს, კონსტანტინოპოლის პატრიარქის იოაკიმე მესამის ნებართვით, გამოუცია ბერძნულად დაბეჭდილი წიგნი, ათონის მთის აღწერა, **„ათოსი“**. ავტორი მოგვითხრობს, რომ მეათე საუკუნემდე ათონის მთაზე მონასტრები არ იყო. ამას მრავალ ძველ საბუთებზე ამყარებს. მხოლოდ დაყუდებულ და წნული ფაცხები ყოფილა.

„ათონის მთაზე პირველად მეათე საუკუნეში, მზგავსად ბიზანტიისა, ანასე ათონელმა აღაშენა ლავრა, და შემდეგ იოანე ივერიელმა საფუძვლიდან აღაშენა ივერიელთა მონასტერი ათონის მთაზე, ივერიელთათვის, 960 წელს. შემდეგ დაასრულა გიორგი თორნიკემ“ (გვ. 311).

გედეონს გიორგი თორნიკე ჰგონებია, ბერიაბაში კი თორნიკეს იოანე ეწოდა და არა გიორგი, რომელმაც აღაშენა იოანე ნათლისმცემლის ტაძარი და სხვა მონასტრის შენობანი მაშინდელი დროისა...

ბერძნული წიგნი „პროსკინიტარიონ აგივ-პავლ“-ეს ავტორი მოგვითხრობს: „გიორგი ივერიელმა (თორნიკედ იგულისხმების) კლიმენტოში [illegible]ა ადგილი ოთხას ფლურად (სამ[illegible]ლიანი ოქროა თვითოეული ფლური, რომელიც ეხლა ღირს 15 მან.) და აღაშენა მონასტერი“.

წმიდა ათანასე ათონელი, დამაარსებელი ბერძენთა ლავრისა ათონის მთაზე, თანამედროვე იოანესი, თორნიკესი და ევთიმესი, თავის ანდერძის წერილში მოგვითხრობს: „ვინაიდან იოანე ივერიელმა ივერიელთა ნათესავთათვის საფუძვლიდან აღაშენა მონასტერი, არც შემდეგ სცხრებოდნენ ქველმოქმედებად ჩვენდა...“

წმიდა ევთიმის ცხოვრების აღწერის შემდეგ („ბერძნული წიგნი „ნეონ-ევლოგიონ“, გვ. 197), ავტორი განაგრძობს: „ევთიმე ივერიელმა აღაშენა მრავალი ტაძრები, საავადმყოფოები და ქსენონები ათონის მთაზე და განამშვენა სადაყუდებულოებით, მიიღო ზედამხედველობა ლავრისა და სრულიად ათონის მთისა „პროტობა“ (მმართველობა), ვინაიდან იყო ერთგული და მსწრაფლ ორკეცი მკურნალი, და მეურნე სულთა და ხორცთა ძმათასა, სალმრთო პირი მისი ყოველთვის აღმოადენდა მდინარესა სიბრძნისასა, და სწავლასა დიდებად ღვთისა“. იგივე ავტორი მოგვითხრობს: „გვამი მისი აღმოყვანებულ იქმნა კონსტანტინეპოლიდან ათონის მთაზე, დაისვენა იოანე ნათლის მცემლის მონასტერში, რომელსა სახელ ეწოდა ივერიელთა მონასტერი. შემდეგ წინამძღვრობა მიიღო გიორგი ივერიელმა (აქ იგულისხმების გიორგი მთაწმიდელი და ვარას-ვაჩე). მისი სათნო ცხოვრებისაგან აღიძრნენ მრავალნი და მოვიდოდეს მისი მორჩილების ქვეშ. გიორგის გამო შეიქმნა ივერიელთა ლავრა ქალაქად ღვთისა, ხედავდა ასეთ გამრავლებასა, აიძულა, რათა მონასტერს მოუმატოს დიდი ხარჯით სამეფოს ხელიდან. საფუძვლიდან აღაშენა, არა თუ მხოლოდ სენაკები და სხვა და სხვა უსაჭიროესნი შენობანი, ძმათათვის განსასვენებელად, არამედ უდიდესი ტაძარი საფუძვლიდან აღაშენა, ვინაიდან მოემატნენ ძმანი და პატარა ტაძარში მამანი არ ეტეოდნენ, მისთვის სხვა აღაშენა, რომელიც დღემდე სჩანს, ვითარცა ემოწმება მრგვლად წარწერა, თითბრის ჩასხმულით დიდ გუმბათის პირდაპირ, მარმარილოს იატაკზე“ (გვ. 199):

„მე დავამტკიცე სვეტნი ამისნი და არა შეიძრას უკუნისამდე, აღმაშენებელი გიორგი ივერიელი“ (ეს წარწერა დღესაც არის ღვთის-მშობლის მიძინების ტაძარში).

გამოჩენილი ისტორიკოსი კონსტანტინეპოლისა ვედრინოსი სცხოვრებდა მეთერთმეტე საუკუნის ნახევარში, მოგვითხრობს (გვერდი 566): „ათონის მთაზე გიორგი და ვარას-ვაჩე, ივერიელებმა ივერიელთა მონასტერი აღაშენეს“. (იხილე პატრო-ლოგიონ, ტომი 122, გვერდი 219).

ბერძნული საეკლესიო ისტორია, შედგენილი ათონის მიტროპოლიტ მელეტიოსის მიერ, (ტომი მეორე, გვერდი 388) მოგვითხრობს: „რომანოზ არგირი და მიხეილი პამფლაგონო მეფეების დროს, 1028—1041 წლებში, აღაშენა ივერიელთა მონასტერი ათონის მთაზე, ვინმე ვარას-ვაჩე ივერიელმა“.

პროფესორი გედეონი მოგვითხრობს: „1492 წელს მიჰმართეს მონასტერში მყოფმა ივერიელმა ბერებმა ყვარყვარე ივერიელთა მთავარს და მოილაპარაკეს ყოველივე მონასტრის საჭიროების შესახებ, და მან დააკმაყოფილა მათი თხოვნა და შეწეობა მისცა... ყვარყვარეს მიცვალების შემდეგ, მისმა მემკვიდრე ქაიხოსრომ და მზეჭაბუკმა დიდად იმოქმედეს მონასტრის ფეხზე დაყენებისთვის, და შემოსავალ-გასავლისთვის, და მამულებისთვის: კოშკი-სენაკები აღაშენეს და გამოაწყვეს. ხოლო დიდი კოშკი ნავთსადგურში საფუძვლიდან აღაშენეს... (ამ კოშკის წარწერა სიმაღლისა გამო ვერ წავიკითხე) ტაძარს გუმბათები მოუშენეს და ტაძარს კარის ბჭე მოუშენეს და სხვანი ყოველივე საჭიროებისამებრ შეამზადეს. სადიდებლად ღვთისა, ყველა ეს სდგას და სჩანს დღემდე. ხოლო ყოველივე მოქმედებანი და გასავალნი ხარჯნი იყვნეს ივერიიდან“.

იგივე ავტორი მოგვითხრობს: „მეთექვსმეტე საუკუნეში, ბერებმა ივერიელთა მონასტერი დაკეტეს და მონასტრის გასაღები ალექსანდრე კახეთის მეფეს მიართვეს, რომელმაც უბოძა თორმეტი ათასი ფლური. და მონასტერი მიეცა წარმატებასა“.

იგივე ავტორი მოგვითხრობს: „1604 წელსა აღიშენა სენაკები წმიდა გიორგის ეკლესიის სანწეულოდან, ვიდრე წმიდათა, უვერცხლოთა მკურნავთა ეკლესიამდე, და ყოველთა წმიდათა ეკლესიამდე, საქართველოს ხარჯითა“.

„1672 წელსა აღიშენა სახლები, და საძმო ტრაპეზი, და სრულიად დაიხატა, უბრწყინვალესი თავადი აშოტან ივერიელის ხარჯითა“ (იხ. „ათოსი“, გვ. 142—173).

კვალად ავტორი მოგვითხრობს: „კონსტანტინე პორფიროგენს მიუცია ქართველებისათვის ივერიელთა მონასტრის აღშენებისათვის „ხრისოვულა“ (გუჯარი), რასაც კავშირი აქვს ივერიელთა მონასტრის სახელწოდებასთან, რომელიც დღემდე ეწოდების, და ყოველივე საქმეები მაგ სახელწოდებით იწარმოების დღემდე, და არც ერთ მონასტერს არა აქვს ასეთი საკუთარი ეროვნული სახელწოდება, ათონის მთაზე მინიჭებული მეფეებიდან—ბერძნული სახელწოდება „მონინ-ტონ-ივირონ“ (ქართველთა-სავანე).

ბერძნულ ჟურნალ „პანდორა“-ში (ტომი 15, გვერდი 197), წერილი ფრეარეტისა მოიხსენიებს ქართველებზე მიცემულ გუჯარს კონსტანტინე პორფიროგენისაგან, მონასტრის აღშენების თაობაზე.

ჟურნალი „ანატოლიკოს არტირი“-ში (ტომი 20, გვერდი 248—278—279—387) პროფესორი სპირიდონი ლამპროსი, 1875 წლის ათონის მთის მონასტრების აღმწერი, აღნუსხავს მეათე საუკუნიდან მეცამეტე საუკუნემდე, ქართველებზე მიცემულ ხრისოვულებს (გუჯრებს) მეფეებისაგან. ამავე პროფესორს უნახავს ივერიელთა მონასტერში 150 ცალი ხელთნაწერი ქართული ძველი წიგნი. პროფესორ ცაგარელს რვა-ცხრა წლის შემდეგ კი აჩვენეს 92 ცალი.

ბერძნული წიგნი „ფილოკალია“ ამბობს: ათონის მთის მონასტრების კანონდებულების დამტკიცებაში, ხელი უწერიათ ყველა მონასტრების წინამძღვრებს, მათთან მესამე პირად ხელს აწერს ქართულად „სიმეონი ივერიის მონასტრის წინამძღვარი“.

ბერძნული წიგნი, პატრიარქ დოროთეს ნებართვით იერუსალიმში დაბეჭდილი, „პროსკინიტარიონ-მონინკატამონას“-ი მოგვითხრობს: „1177 წ., შემდეგ ქართველთა და ფრანგთა ომისა, იერუსალიმში ქართველებმა დაიუფლეს ყოველივე მათი მონასტრები და წმიდა ადგილნი და გადმოასახლეს საქართველოდან ქართველი ხალხი დასაცველად წმიდა ადგილისა, და აგრეთვე სოფელ მალხაში (ჯვარის მონასტერთან ახლოა)“. საგულისხმოა, რომ ამდროს 42 კომლი ქართველი ათონის გარეთ, ივერიელთა მონასტრის მამულში, სოფელ იერისოში, დაუსახელებიათ ივერიის მონასტრის მოსამსახურედ ქართველ მეფეებს. ჩემის მგზავრობის დროს ვნახე, ამ მამულში ცალმხრივ ძლიერ დიდი კოშკის ნანგრევში, ეგდო მარმარილოს ქვა, შემდეგი ხუცური ასომთავრული ზეწარწერით: „... ღთივ გვირგვინოსან მიხეილ პალეოლოგოს დროს აღიშენა ქართველთაგან“.

**გერასიმე ნადარეიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმრავლესობას საგანგებო დეპუტაცია გაუგზავნია მილიუკოვისათვის და უთხოვნია, რათა მას უკანვე წაეღო თვისი განცხადება. მილიუკოვიც დათანხმებულა.

**კოკოვცევი და შინგარევი.**

სახელმწ. სათათბიროს საბიუჯეტო კომისიაში, სახელმწიფო ხაზინის დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს, დეპ. შინგარევს აღუნიშნავს ის გარემოება, რომ ფინანსთა სამინისტროს დღემდე ვერ განუხორციელებია ჯარის-კაცთათვის საპენსიო კანონი, შესაფერ ინსტრუქციების შეუმუშავებლობის გამო. კომისიის სხდომაზე კოკოვცევიც ყოფილა, როგორც საფინანსო უწყების წარმომადგენელი და შინგარევის საპასუხოდ უთქვამს: ინსტრუქციების შედგენა ძნელი საქმეა და საზოგადოდ კრიტიკა უფრო ადვილია, ვიდრე საქმის გაკეთებაო. შინგარევს მიუგია, რომ მას, როგორც დეპუტატს, ამ ჟამად მხოლოდ კრიტიკის უფლება აქვს, ხოლო საქმის გაკეთება იმათ აქვთ დავალებული, ვინც მთავრობას უდგა სათავეშიო.

„რადგან მე უკვე კარგა მოხუცებული ვარ—უპასუხნია მინისტრს—ამიტომ იმედიც არა მაქვს, რომ მოვესწრები იმ დროს, როდესაც დეპ. შინგარევი და მისი თანამოაზრეები იქნებიან მთავრობის სათავეშიო“.

# ბალკანეთის ომი

**დეპეშები.**

18 მარტი.

**სოფია.** „მირი“ სწერს: ადრიანოპოლის დამხობით სავსებით არ ისპობა ზავის დამაბრკოლებელი მიზეზები, რადგანაც მთავარი შემაფერხებელი მიზეზი ოსმალთა ალყა შემორტყმული ციხე კი არ იყო, არამედ ევროპის პოზიცია, რომელიც ოსმალებს ამხნევებდაო. თუ ევროპას მშვიდობიანობა ჰსურს, რაც შეიძლება მალე უნდა მოუღოს ბოლო ოსმალთა ილიუზიებს; წინააღმდეგ შემთხვევაში მოკავშირეებს მოუხდებათ ისევ იარაღს მიჰმართონო.

**ბელგრადი.** ადრიანოპოლთან ბრძოლაში ყველაზე ძლიერ დაზარალდა სერბიის ჯარის მეცამეტე პოლკი, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა ბულგარეთის მეორე პოლკთან ერთად იერიში მიეტანა იონატეპილიარის სიმაგრეზე. ოსმალებმა სროლა აუტეხეს. ბულგარებმა უკან დაიხიეს, მიუხედავად იმისა, რომ მესამე და მეოთხე ბატალიონებს ნაბძანები ჰქონდათ, რადაც უნდა დაგვჯდეთ, სიმაგრე დაიჭირეთო. ბატალიონებმა სიმაგრე აიღეს. სერბიელებს მოუკლეს ათასი კაცი და დაუჭრეს 3,000.

**სტამბოლი.** ოფიციალურად იტყობინებიან, რომ ოსმალეთის რაზმებმა განდევნეს ბულგარები ბუიუკჩექმენჯიდან და პალოსის და ჩეშლიქიოსკენ წაიწიესო. ოსმალებმა ბრძოლის ველზე 1,000 მოკლული მოპირდაპირე აღმოაჩინეს.

**გაზეთებიდან.**

**ადრიანოპოლის აღების პოლიტიკური მნიშვნელობა.**

ავსტრიული გაზ. „ცეიტი“ სწერს: ადრიანოპოლის აღება დააგვიანებს ზავის ჩამოგდებას. მოკავშირეები უპასუხებენ სახელმწიფოებს, რომ იანინისა და ადრიანოპოლის დამხობა ამართლებს მათს ახალ მოთხოვნილებას. ახლა ოსმალეთი სავსებით გამარჯვებულთა ხელშია. თუ დიდი სახელმწიფოები არ მიიღებენ მხედველობაში მოკავშირეთა მიერ შეწირულ მსხვერპლს და მცირე დათმობას მაინც არ დასთანხმდებიან, ცხადია მათ ჩარევას არავითარი კეთილი შედეგი არ მოჰყვება და ზავიც ჩათალჯის სიმაგრეებზე იქნება ხელმოწერილი. დიპლომატიური წრეები ადასტურებენ, რომ ადრიანოპოლის აღების შემდეგ მდგომარეობა, მართლაც, შეიცვალა და ამიტომაც ბულგარეთს სრული უფლება აქვს მოითხოვოს მიდია—როდოსტოს მიდამოებზე გატარებული საზღვარი. რაც შეეხება ოსმალეთისაგან სამხედრო საზღაურის გადახდას, ევროპა კვლავინდებურად ულმობელი დარჩება ამ საკითხში და არაოდეს არ დასთანხმდება მოკავშირეთა მოთხოვნილებას.

# ბალკანეთი და ევროპა

**დეპეშები.**

18 მარტი.

**ცეტინიე.** 17 მარტს დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა აცნობეს ჩერნოგორიის მთავრობას: რადგანაც ავსტრია-ჰუნგრეთი საქმეში ჩაერია, პორტამ სკუტარის კომენდანტს უბრძანა მშვიდობიან მოსახლეობას ქალაქიდან გასვლის ნება მისცესო. წარმომადგენლებმა სთხოვეს ჩერნოგორიის მთავრობას ნება მისცეს ჩერნოგორიაში მყოფ სამხედრო აგენტებს, სკუტარის კომენდანტს ესად ფაშას პორტას განკარგულება გადასცენ. გარეშე საქმეთა სამინისტრომ წარმომადგენლებს უპასუხა, რომ ამ წინადადებას გადასცემს მინისტრთა საბჭოს და მის დადგენილებისამებრ შეუთვლიან პასუხსაო.

**ვენა.** გაზეთები იუწყებიან, სკუტარის ყუმბარები დაუშინესო. ნიკოლოზ მეფის ბრძანებისამებრ დღეს იწყება საერთო იერიში. მოელიან, რომ დიდ სახელმწიფოთა გადაწყვეტილება ამ შემთხვევაში, სისრულეში იქნება მოყვანილი. ინგლისის ესკადრა უკვე კორფუსკენ გაემართა.

**ლონდონი.** გრეის თავმჯდომარეობით ელჩთა თათბირი მოხდა.

**ბელგრადი.** სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა სათითაოდ შეატყობინეს სერბიის მთავრობას დიდ სახელმწიფოთა დადგენილებანი ალბანეთის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის საზღვრების თაობაზე. მთავრობამ განაცხადა, პასუხს მოკავშირეებთან მოლაპარაკების შემდეგ გადავსცემთო.

**სტამბოლი.** სახელმწიფოთა ელჩებმა პორტას გადასცეს კოლექტიური ნოტა სახელმწიფოთა შუამავლობის თაობაზე, რათა გამოიძებნოს სამშვიდობო მოლაპარაკების საფუძველნი.

ოსმალეთის სააგენტო იტყობინება: დიდი სახელმწიფონი წინადადებას აძლევენ ოსმალეთს დაადგინოს მიდია-ენოსის საზღვარი; ისინი მხარს არ უჭერენ მოკავშირეთა მოთხოვნილებას კონტრიბუციის თაობაზე.

**პეტერბურგი.** დღეს, 5 საათზე გარეშე საქმეთა სამინისტროში სახელმწიფოების წარმომადგენელთა კონფერენციის პირველი კრება მოხდა. კონფერენციამ უნდა გადასწყვიტოს რუმინია-ბულგარეთის დავა. პირველი კრება ამ საკითხზე აზრთა გაზიარებას მოუნდა.

**ვენა.** „ცეიტი“ სწერს: დიდ სახელმწიფოთა შეთანხმებული მოქმედება ჩერნოგორიის მიმართ ფრიად ნაკლებად სჩანს. რუსეთს, საფრანგეთს და იტალიას, როგორც ეტყობათ, არა ჰსურთ მონაწილეობა მიიღონ ძალ დატანებითი მოქმედებაში. ინგლისსა ჰსურს ნეიტრალური როლი ითამაშოს ამ საქმეში. ამ რიგად მხოლოდ ავსტრია-ჰუნგრეთს აწვება კისრად ის გაბოროტება, რაიც გამოწვეულია ამგვარი მოქმედებით ბალკანეთის სახელმწიფოთა შორის.

**გაზეთებიდან.**

**ავსტრია და ჩერნოგორია.**

ავსტრიის ელჩმა ჩერნოგორიის მთავრობას ახალი მოთხოვნილება წარუდგინა: „რადგან სკუტარის ციხის უფროსმა, ესად-ფაშამ განაცხადა, რომ მას არ შეუძლიან მშვიდობიან მცხოვრებთა ქალაქიდან გაშვება და მიზეზად ის მოსაზრება მოიყვანა, რომ სტამბოლიდან ამის შესაფერი ბრძანება არ მომსვლიაო, ამიტომ ავსტრიის მთავრობა მოითხოვს, შეჩერდეს ციხის იერიში მანამდე, სანამ სკუტარის უფროსი თავის მთავრობისაგან ხსენებულ განკარგულებას არ მიიღებს“.

ჩერნოგორიის მეფემ გადაჭრით უარჰყო ავსტრიის ახალი მოთხოვნილება. ჩერნოგორიისა და სერბიის შეერთებული საალყო ჯარი მხოლოდ სერბიიდან გამოგზავნილ მძიმე საციხოვნო არტილერიის მოსვლას უცდის და რა წამს მიიღებს, მაშინვე დაიწყება ციხის საბოლოო იერიში.

**დიდი სახელმწიფოები და ოსმალეთი.**

დიდი სახელმწიფოების ელჩებმა ერთხმად წინადადება მისცეს ოსმალეთის მთავრობას, რათა მან სკუტარის ციხის უფროსს გაუგზავნოს ბრძანება ქალაქიდან მშვიდობიან მცხოვრებთა გამოსაშვებად.

**ავსტრიის მუქარა.**

ვენის პოლიტიკურ წრეებში ლაპარაკობენ, რომ დურაცოში სერბიის ჯარის დარჩენა და სკუტარის წინააღმდეგ იერიშის განახლება მეტად სერიოზულ კონფლიქტს გამოიწვევსო. გაზ. „რეიხსპოსტი“ დასძენს: „თუ ჩერნოგორია, ევროპის სურვილის წინააღმდეგ, სკუტარის ციხეს არ მოჰხსნის ალყას, ავსტრია და იტალია ევროპისაგან დავალებას მიიღებენ, რათა ძალით გააძევონ სერბიელებისა და ჩერნოგორელების ჯარი ალბანეთის საზღვრებიდან, მაგრამ თუ ასეთი დავალებაც ვერ მოხერხდა, მაშინ ავსტრია დამოუკიდებლად იმოქმედებს ამ აზრის განსახორციელებლად“.

**ევროპის კონგრესი.**

გაზ. „ნეი, ფრ. პრესე“ ირწმუნება, რომ ომის გათავებისას, ელჩთა ლონდონის კონფერენცია ევროპის სახელმწიფოთა კონგრესად გადაიქცევა, რომელიც უკვე მომხდარ მოლაპარაკების მიხედვითა და სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, ბერლინის ტრაქტატის ნაცვლად, ახალ სტატუს-ქვოს შეიმუშავებს ბალკანეთისთვისო.

**ავსტრია და რუმინია.**

რუმინიის მმართველი წრეები უკმაყოფილონი არიან ავსტრიის პოლიტიკით. როდესაც რუსეთ-ავსტრიის დამოკიდებულება გამწვავდა, ბუდაპეშტში გადასწყვიტეს რუმინიასთან დაახლოება და ამ მიზნით ტრანსილვანიის რუმინელებს დიდ შეღავათს ჰპირდებოდნენ ნაციონალურ-კულტურულ სფეროში, ხოლო როდესაც რუსეთ-ავსტრიის კონფლიქტი დემობილიზაციით გათავდა, დაივიწყეს თავისი დაპირებაო.

# რუსეთი

**პოლიტიკური კარანტინი.**

დეპუტატ ხვოსტოვის გუბერნატორობის დროს, ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნია შემოფარგული იყო „პოლიტიკურის კარანტინით. ხვოსტოვმა მიწერილობა დაუგზავნა პოლიციის მოხელეთ, ყველა, ვინც სახელმწიფო, სასოფლო ან საზოგადო სამსახურში აპირებს შესვლას, ლექტორებს, მომღერლებს, მსახიობებს, რომელნიც მის გუბერნიაში აპირებენ შესვლას, აუცილებლად ჩამოართვან შემდეგი ბარათი: „მე, ამისა ქვემორეხელის მომწერელი, ვაძლევ ამ ბარათს ნიჟე-გოროდის გუბერნატორს, რომ მე არ ვეკუთვნოდი, არც ვეკუთვნი და არც არასოდეს მივეკედლები მთავრობის საწინააღმდეგო საქმეს“.

ხვოსტოვის მოადგილემ ეს განკარგულება გააუქმა.

**„პოგრომის“ აგიტაცია.**

13 მარტს, იუშჩინსკის მოკვლის წლის თავზე,—„ორ-თავიანი არწივი“-ს თაოსნობით მოკლულ ბავშვის საფლავზე გადახდილი იქმნა პანაშვიდი.

მოკავშირეებმა გამოუშვეს „პოგრომის“ ნომერი, რითიც რუს ხალხს ებრაელთა ასაწიოკებლად მოუწოდებდნენ. გაზეთის ნომერი ქალაქში თავისუფლად ვრცელდება.

**უკრაინულ ენის დევნა.**

კიევის გუბერნატორმა აუკრძალა უკრაინელთა კლუბს, გაემართა ლექცია შემდეგ თემაზე: „მიწათ-მოქმედება ამერიკაში“. გუბერნატორი თვის განკარგულებას იმით ასაბუთებს, რომ ლექცია უკრაინულ ენაზე არის დაწერილიო.

**ქ-ნ ტიმეს მკვლელთა საქმე.**

ტიმეს მკვლელნი იცნეს სადგონების პატრონად. მათი საქმის გარჩევა მაისისთვის არის დანიშნული.

**მინისტრების მოგზაურობა**

როგორც „ნოვოე ვრემია“ გადმოგვცემს, მიწათმოქმედებისა და მომწყობ მთავარ სამმართველოს უფროსი კრივოშეინი აპირებს მომავალ ზაფხულს რუსეთში იმოგზაუროს, რათა გაეცნოს ადგილობრივად მიწათმოქმედების საქმის წარმოებას. კრივოშეინს აზრად აქვს მეურნეობაში გაუმჯობესობა შეიტანოს. იმავე დროს შინაგან საქმეთა მინისტრი მაკლაკოვი შემოივლის რუსეთის იმპერიას. მინისტრს მიზნად დაუსახავს გაეცნოს რუსეთის საჭიროებას და მის უწყების წარმომადგენელთა მოქმედებას ადგილობრივ. მინისტრი ინახულებს აგრეთვე ახლად დაარსებულ ხოლმის გუბერნიასაც.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

16 მარტი.

**საზღვარ-გარედ**

**თეირანი.** კერძო პირთათვის იარაღის ტარების აკრძალვამ მღელვარება გამოიწვია მუჯახიდებსა, დაშნაკცაკანებსა და ბაქტიართა შორის. სატახტო ქალაქიდან მიდიან, ალბად, მაზანდერანში მიემგზავრებიან. გეშხეთიდან მოსული მთავარი სარდალი, ხორასან სერდარ-მუაზანი დაინიშნა სამხედრო მინისტრის ამხანაგად.

**რომი.** გარდაიცვალა ამერიკელი მილიარდერი მორგანი.

**რუსეთი.**

**პეტერბურგი.** შტალგეისტერი თავ. ურუსოვი დაინიშნა „პრავიტელსტვენი ვესტნიკის“ რედაქტორის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად.

**პეტერბურგი.** დაიჭირეს „ტრუდოვოი დენ“-ის მეხუთე ნომერი. რედაქტორი სამართალშია მიცემული 129 მუხლის ძალით.

# ჩვენი ფოსტა.

**ფოთი.** ბ-ნ ვასო ჯაყელს, თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**სოფ. ჭოლური.** ბ-ნ კალენიკე ანდღულაძეს. არ გამოდგა. ხელთნაწერები არ ინახება.

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

**15 ოქტომბრიდან.**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო** № 8, სად. 8. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

**ბათომისაკენ: სახ.** №№ 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

**ბაქოსკენ: ნარევ.** № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

**ერევანისკენ: სახ.-საბ.** № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

**ჯულფისკენ: საფ.** № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

**ყარსისკენ: სახ.-საბ.** № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 9/10 ნ, ნაშ. 3 ს. 17 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან. ნარევ.** № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

**ბათომიდან: სახ** № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

**ერევნიდან: სახ.-საბ.** № 83;7, საღ. 5 ს. 28 წ

**ყარსიდან: სახ.-საბ** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

**ჯულფიდან: სახ** № 43, დილ. 8 ს.

**ბორჯომიდან: სახალ.** № 9|10 ნ, დილ. 11 ს. 22 წ.

**მიხაილოვიდან სურამში სახ.-საბარგ.** № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ.** № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.**, № 68, საღ: 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

**ქუთაისიდან რიონში: სახ.** № 77 დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** 1, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 84 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

**რიონიდან ქუთაისს: სახ.** № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ**, 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

**ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო** № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

**შორაპნიდან ქუთაისს: სახ.** № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

**ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ.** № 26, დილ. 6 ს, 6 წ. **სახ.** № 4 II, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 II, საღამ. 9 ს. 10 წ.

**სამტრედიიდან ფოთში; სახ.** № 3 II შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 II, საღ. 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 II, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 V ნაშ. 6 ს. 18 წ.

**ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს: სახ.** № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

**ნატანებიდან ბათომს: სახ.** № 17, ნაშუად. 5 ს. 20 წ.

**ბათუმიდან ქობულეთში. სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომიდან ნატანებს: სახ.** № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ.** № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ.** № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ, **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

**პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.**

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასიც ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები და 3 4.


# ავადმყოფთ

„სპერმინ-პელა“-ს მხმარებელ ავადმყოფთ დიდ იმედიან რეკლამებით სცდილობენ მიაღებინონ თესლეულის გამონაწური სხვა და სხვა სითხე. ამ რეკლამებში ყოვლად მოურიდებლად ამახინჯებენ ფაქტებს და იმოწმებენ უცხოეთის სხვა და სხვა მეცნიერთ, **რომელთაც არასდეს არ უნახავთ ეს წამლები.** ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ავადმყოფნი გავაფრთხილოდ ამ კოტოშებისა და სხვა გამომწევ საშუალებათაგან, რადგანაც ის წამლები, რომელთაც „სპერმინ-პელას“-თან საერთო არა აქვს რა, ხშირად ჯანმრთელობისათვის მავნებელ ნივთიერებას შეიცავს.

ნერვების აშლილობისა, სქესობრივ უილაჯობისა, მოხუცებულობის დაჩაჩანაკებისა, ისტერიისა, ნევრალოგიისა, სისხლნაკლებულობისა, ჭლექისა, ათაშანგისა, ვარდის წყლით წამლობის შედეგისა, გულის სნეულებისა (გულის ქონი, გულის ფრიალი, გულის ძმარგა, გულის სიაუსტე), ძარღვების დადუნებისა, ლოთობისა, წელკავისა, სიდამბლისა, განვლილ ავადმყოფობისაგან გამოწვეულ დაქანცულობა-უღონობისა და სხვა შემთხვევის დროს, მხოლოდ **სპერმინ-პელა** აღწევს იმ თვალსაჩინო შედეგამდე, რასაც ადასტურებენ მთელი ქვეყნის ცნობილ მეცნიერთა და მკურნალთა გამოცდილება.

ყურადღება უნდა მიაქციოთ თვითონ სახელწოდებას **სპერმინ-პელა** და არ მიიკაროთ არც გამოსაწევი რამ საშუალება, არც ათასნაირი სხვა და სხვა სახელწოდე... სითხე, რომელთა უვარგისობის თაობაზე გამოცემულია ცალკე წ... და მსურველთ უფასოდ ვუგზავნით, **სპერმინზე** ახლად დაწერილ ...ებთან ერთად.

**სპერმინ-პელა ყველა აფთიაქებსა და ფთიაქო მაღაზიებში იშოვება.**

ორგანოთერაპეტიული ინსტიტუტი

**პროფესორი ეჭ. პელ** შვილებით

**მის იმპერატ. უდიდებულ.**

**იჯარადარნი**

**ს. პეტერბურგი.**

1479 1068

გამოსულია და იყიდება

**ნ. შიუკაშვილის**

პიესა **„მეგობრობა“**, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**ექიმი ზ. ა. მიქელაძე.**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებათ** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.



**პირველი კავკასიური**

# თესლეულობის დეპო ლარმე

**1872 წლიდან არსებობს.**

**მიხეილის პროსპექტი № 10.**

ჰყიდის ახალ მოსავლის საუკეთესო ღირსების

**ნაცად თესლეულობას**

საბოსტნოს

ყვავილებისას

მცენარეულისას

ხეებისას და

საუკეთესო საზრდოს

**იადონისთვის**

გირვ. 25 კაპ.

პრეისკურანტი მოთხოვნილებისათანავე **უფასოდ ეგზავნებათ.** 1076.

# ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

**დაარსებულია 1880 წელს.**

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დილით:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ალახვერდოვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ა. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მუღდისი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. ბ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინ. კანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **თ. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**საღამოთი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

**ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ-არეშევისა** 6—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ...ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციე... მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ა. ა. ნავასარდიანი.** 1004



# კვეესის ნაცადი

ბოსტნეულისა და ყვავილების

# თესლეულობა

1913 წლის დასათესად.

**პრეისკურანტი უფასოდ.**

**კვეეს-ისა და ამხანაგ. თესლეულობის საწყობი:**

Михайловская ул. уголъ Семеновской ул. № 31.

1080



მიიღეთ საუკეთესო ფერმის მარცვლეულები,

ქვირითის (ქაჰმ.) ხიზილალა,

გამოსული ქერჩის სელიოტკები,

თევზის მარწყვილი

კონსერვები.

# ძმ. მეველოვები.

**პუშკინის ქ., სახლი ნ. 9.**

**ტელეფონი № 712.**

1131

**შაში ხიზილალა**


ტფილისი მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.